შიდაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№38 (9.554)

12 ოქტომბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლი დაიწვა

ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლს გვიან ღამით ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის შედეგად განადგურებულია ხატების ნაწილი. როგორც ტაძრის წინამძღოლმა მამა პეტრე ხუმარაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ხანძარი, სავარაუდოდ, მოძველებული ელექტროსადენებიდან გაჩნდა.

მისი განმარტებით, დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახური შემთხვევის ადგილზე დროულად მივიდა, რის გამოც ხატების გადარჩენა მოხერხდა. ვითარების შემსუბუქება იმან განაპირობა, რომ სამლოცველო სახლში დამონტაჟებული იყო დაცვის სისტემა, რამაც განგაშის რეჟიმი დროულად აამუშავა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოპერატიულად გამოძახება მოხერხდა.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

დედოფლისწყაროს ცენტრში ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე ეს სამლოცველო სახლი წლების მანძილზე დედოფლისწყაროელი მრევლისთვის ერთადერთი ადგილი იყო, სადაც წირვა-ლოცვა აღევლინებოდა.

მომხდართან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ და სამლოცველო სახლის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, შენობა აღდგენას აღარ ექვემდებარება.

„დედოფლისწყაროში, ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლი 1965 წლიდან მოქმედებდა. ყველას კარგად მოგვეხსენება ეს რა პერიოდი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით მოხერხდა ამ სამლოცველო სახლის ამოქმედება. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ტაძარი ამ ტერიტორიაზე, მთელს ქიზიყში არსად არ იყო, თუ არ ჩავთვლით ბოდბის წმინდა ნინოს ტაძარს... ფაქტობრივად, ეს სამლოცველო სახლი ამ მხარის სულიერი განმამტკიცებელი და გამაძლიერებელი იყო სარწმუნოებაში. სამწუხარო ფაქტია ის, რომ ღამით 22:00 საათზე ხანძარი მოხდა. შენობის ძირითადი ნაწილი განადგურებულია. როდესაც სპეციალისტები მოვიდნენ და არსებული ვითარება შეისწავლეს, აღნიშნეს, რომ მისი აღდგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. უმჯობესია, ახალი აშენდეს,“ - აღნიშნა მეუფე მელქისედეკმა.

მომხდარზე წუხილს გამოხატავს დედოფლისწყაროელი მრევლიც, მათმა დიდმა ნაწილმა შემთხვევის ადგილზე უმალ მოიყარა თავი. საეკლესიო ნივთების გადარჩენაში მონაწილეობას რიგითი მოქალაქეებიც იღებდნენ.

ახლახან, დედოფლისწყაროელებმა სამლოცველო სახლის რესტავრაციისთვის საჭირო თანხების მოგროვებისთვის საინფორმაციო კამპანია წამოიწყეს, რის შემდეგაც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება იგეგმებოდა. გახსნილია სპეციალური საბანკო ანგარიში, სადაც მსურველებს ნებისმიერი ოდენობით შემოწირულობის გაღება შეუძლიათ.

ილია მარტყოფლიშვილი

ბანკის რეკვიზიტებია: სს „ლიბერთი ბანკი” დედოფლისწყაროს ფილიალი 220101453

ბანკის კოდი/SWIFT code :LBRTGE22

ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლი 228534565

GEL-GE48LB0122153831112000
USD-GE21LB0122153831112001
EUR-GE91LBO122153831112002

სიმბოლიზმი ქართულ პოლიტიკაში

ჩვენი დოსიე:სიმბოლიზმის ისტორია ისევე ძველია, როგორც საერთოდ ევროპული კულტურისა. შორეულ ხანაში ფილოსოფიური და რელიგიურ-ფილოსოფიური აზრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ არ არის თავის თავში დაფუძნებული, არ არის ნამდვილი სინამდვილე. ნამდვილი სინამდვილე, ჭეშმარიტი არსებობა არამატერიალურია, უხილავი, შეუგრძნობელი, იდეალური, ტრანსცენდენტური, ჩვენი ცდის საზღვებს მიღმა მყოფია. უხილავია და შეუგრძნობელი, მაგრამ შეცნობა გონებით წვდომა თუ არის შესაძლებელი იმ სინამდვილისა? ამ საკითხის გამოძიება იმით დასრულდა, რომ უზარმაზარი ავტორიტეტის მქონე ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა დაასკვნა:”იმ სინამდვილის, იდეალური საწყისის წვდომა, შეცნობა ადამიანს არ უწერია, ადამიანის შემეცნება ცდის ფარგლებს ვერასოდეს გასცილდება, ”ნივთს თავისთავად” ვერ შეიმეცნებს”.

მისტიკა არ არის არც უბრალო საიქიოს რწმენა, არც რელიგიური განცდა, არც ყოველგვარი იდეალისტური თვალსაზრისი. ყველა მორწმუნე როდია მისტიკოსი. მისტიკა არის ინდივიდუალური, პიროვნული, ღვთაებრივი, მარადიული სამყაროს უშუალო წვდომის, მასთან შერწყმის ცდა. კლერიკალური წრეები მისტიკას მწვალებლობასთან, ერესთან აიგივებდნენ. ერეტიკული მოძრაობა კი ერთობ ხშირად ხალხის ფართო მასების ოპოზიციურ სულისკვეთებას გამოხატავდა იმ ხანაში. ასე, რომ ზოგჯერ მისტიკა დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგე ამხედრებასაც უკავშირდება. სწორედ ამიტომაა, რომ რენესანსის პრობლემებზე მომუშავე მკვლევარნი გვერდს ვერ უვლიან ისეთ ცნობილ მისტიკოსებს, როგორიც იყვნენ: ფსევდო-დიონისე არიოპაგელი, ერიუგენა, მაისტერ ეკჰარტი, დანტე ალეგიერი...

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სიმბოლოები თითქმის ყოველთვის იყო განმსაზღვრელი ადამიანების ცხოვრებაში. ხალხს ოდითგანვე სწამდა, რომ რომელიღაც ციფრი მას ბედნიერებას მოუტანდა. არსებობდა ე. წ. ნავსიანი დღეები და ციფრებიც. მაგალითად, რიცხვი 13. ბევრი ადამიანის ცნობიერებაში ეს ციფრი მარცხთან და უიღბლობასთან ასოცირდებოდა და ასოცირდება დღესაც, თანაც იმდენად, რომ ასეთ დღეებში სერიოზული საქმეების დაგეგმვას თავს არიდებს. ასეთი ცრურწმენების არსებობის საფუძველი ჩვენი წარსულიდან მომდინარეობს, თუმცა, როგორც ჩანს, მისი ფესვები იმდენად ძლიერია, რომ ოცდამეერთე საუკუნის თანამედროვე საზოგადოებაც ვერ გათავისუფლებულა მისგან. სიმბოლიზმი საკმაოდ აქტუალურია პოლიტიკაშიც, მათ შორის ქართულ პოლიტიკაშიც. „სიმბოლოების ომის“ მომსწრე გახდა ქართული საზოგადოება წინასაარჩევნო პერიოდში, როცა „ქართული ოცნების“ სურვილი, მისთვის საარჩევნო სუბიექტის ნომრად ციფრი 7-ის მინიჭების თაობაზე ცესკო-მ არ დააკმაყოფილა. არადა, საარჩევნო ბლოკს ამ ნომრით უკვე დაბეჭდილი ჰქონდა ბუკლეტები, რომლითაც საარჩევნო კამპანია უნდა წარემართა. ციფრი -7 გაერთიანებული ოპოზიციის ნომერიც გახლდათ და როგორც წინა წლების მოვლენებმა დაგვანახა, ამ რიცხვმა მათ არცთუ სახარბიელო პოლიტიკური მომავალი მოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ ცესკო-ს ამ გადაწყვეტილებამ ფინანსური ზარალი მიაყენა, ციფრი41 მათთვის გაცილებით იღბლიანი აღმოჩნდა, ვიდრე 7 გაერთიანებული ოპოზიციისთვის. რაც შეეხება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, მათთვის 5-იანი მართლაც იღბალის მომტანი იყო მთელი ცხრა წლის განმავლობაში, მაგრამ ამჯერად ამ სიმბოლომ ვეღარ გაამართლა. ვერ გეტყვით, იქნებ იმ ფორმულამაც იმუშავა, რომელიც წინასაარჩევნოდ ზოგიერთმა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერმა შეიმუშავა-4+1=5, ეს ისე, ლირიული გადახვევისთვის...მაგრამ ერთი რამ ნათელია, რომ სიმბოლიზმის ცნება ქართულ საზოგადოებაში კვლავ აქტუალურია და ყოველი არჩევნების დროს ეს თემაც, შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად კვლავ აქტუალობას იძენს, თანაც ისეთ მაღალ დონეზე, რომ ძნელია ეს პროცესი საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩეს. ამ არჩევნებმა ბევრი რამ შეცვალა, მათ შორის დაანგრია მითი ციფრი ხუთიანის (ფრიადის) დაუმარცხებლობის და შვიდიანის, როგორც ბედნიერების მომტანის. 41-მა ორივე მათგანი გადაწონა, საინტერესოა, სამომავლოდ რომელი რიცხვი გახდება პოლიტიკური წარმატების სიმბოლო.

ინგა შიოლაშვილი

„არქიმედეს“ კლინიკის მშენებლობა არ შეფერხდება

გვ. 6

უფასო გამრიცხველიანება თუ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა?!



გვ. 6

საქართველო ერთადერთია, სადაც ყველა ერი კარგად გრძნობს თავს

გვ. 7

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

პრეზიდენტმა მთავრობის გადადგომის შუამდგომლობა დააკმაყოფილა

საქართველოს პრეზიდენტმა დააკმაყოფილა მთავრობის შუამდგომლობა გადადგომის თაობაზე, - ამის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა გადადგომის თაობაზე. ამავე განკარგულების საფუძველზე, მასვე დაეკისრა მოვალეობის შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის დანიშვნამდე. საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა ახალი მოწვევის პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ ვადებში წარედგინება“, - ნათქვამია პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

დავით ბაქრაძე: ერთი არჩევნებით თვითმმართველობები და პრეზიდენტი ვერ შეიცვლება

„ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძის შეფასებით, ერთი არჩევნებით ქვეყანაში ყველაფერი ვერ იცვლება.

ამის შესახებ ბაქრაძემ კოალიცია „ქართული ოცნების” ლიდერის ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხელ სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომელსაც მთავრობისა და ოპოზიციისგან შექმნილი სამუშაო ჯგუფების წევრებიც ესწრებოდნენ.

„მე არ ვისაუბრებდი ხელისუფლების გაყოფის შესახებ, უბრალოდ უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ამიტომ არის ხელისუფლების შტო, რომელიც ექვემდებარება და აკონტროლებს პარლამენტს, არის ხელისუფლების შტოები, რომლებიც პარლამენტისგან დამოუკიდებელია, მაგალითად, პრეზიდენტის არჩევა პარლამენტისგან დამოუკიდებლად ხდება, თვითმმართველობის არჩევნები პარლამენტისგან დამოუკიდებლად ხდება, ამიტომ რა თქმა უნდა, შეიცვლება ყველაფერი, რაც საპარლამენტო არჩევნებს და არჩევნების შედეგებს უკავშირდება. პირველ რიგში, ეს იქნება სამთავრობო ცვლილება, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ხელისუფლების ის ნაწილები არ შეიცვლება, რომელიც სხვა არჩევნების გზით ირჩევა, პრეზიდენტი და თვითმმართველობა დამოუკიდებლად ირჩევა. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ პროცესი კონსტიტუციის ფარგლებში უნდა წავიდეს, შეიცვალოს რაც შესაცვლელია და დარჩეს ის, რაც მომავალ არჩევნებზე შეიცვლება, ამიტომ ერთი არჩევნებით ქყვეყანაში რა თქმა უნდა, ყველაფერი ვერ იცვლება. ჩვენი მოქმედი კონსტიტუცია მოითხოვს გარკვეულ თანამშრომობას. ამ თანამშრომლობის ნაწილია ის შეხვედრებიც, რომლებიც არჩევნებში გამარჯვებული გუნდის წამრომადგენლებთან გვაქვს, ამ თანამშრომლობის და ურთიერთქმედების ნაწილი იყო ის შეხვედრაც, რომელიც ვიხილეთ და შემიძლია, ვთქვა რომ ჯერ-ჯერობით ყველა პროცესი კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში მიდის, ჩვენ განწყობილი ვართ იმისთვის, რომ ყველა პროცესი მომავალშიც კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში წავიდეს და ჩვენი მხრიდან ამ პროცესს არანაირი საფრთხე და ხიფათი არ დაემუქრება. საქართველოს ინტერესი მოითხოვს, რომ ყველაფერი კანონის და კონსტიტუციის ფარგლებში იყოს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება”, - განაცხადა ბაქრაძემ.

სუბარი: იმ ადამიანებს ვერ გამოვედევნებით, ვინც იცოდა ცისქეში რა ხდებოდა და დუმდა

„სასჯელაღსრულების სისტემაშიც არის უამრავი ადამიანი, რომლებიც ძალიან წესიერად მსახურობდნენ ამ წლების განმავლობაში. კი ბატონი, ისინი ჩუმად იყვნენ, დუმდნენ, ხმას არ იღებდნენ იმ ყველაფერზე, რაც იქ ხდებოდა, მაგრამ ახლა ამის გამოდევნება რომ დავიწყოთ სისტემა დაინგრევა, ამიტომ ამას ვერ გამოვედევნებით,“ — განაცხადა სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში.

მისივე თქმით, ის ადამიანები, ვინც პატიმრების წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ, პასუხს აუცილებლად აგებენ.

„ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ დანაშაულებში მონაწილეობდნენ, ცემა, წამება, არაადამიანური მოპყრობა თუ სხვა რამე, ბუნებრივია, მათ პასუხი უნდა აგონ. მე დარწმუნებული ვარ, რომ 90% იმ გვარებისა, რომლებსაც პატიმრები ასახელებენ და იმ საქმეების, არის რეალური. როცა პატიმრები ასახელებენ ვინმეს, რომელიც გამოირჩეოდა წამებით და პატიმრებისადმი აგდებული დამოკიდებულებით, უმრავლეს შემთხვევაში ამას აქვს საფუძველი,“ — განაცხადა სოზარ სუბარმა.

შეგახსენებთ, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ტელეკომპანიებმა „მაესტრომ“ და „მეცხრე არხმა“ მე-8 საპყრობილეში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალა გაავრცელეს. ვიდეომასალიდან ჩანს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები პატიმრებს ცემენ, არაადამიანურად ეპყრობიან და ცოცხით აუპატიურებენ. ვიდეომასალის გავრცელებას თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საპროტესტო აქციები მოჰყვა. თანამდებობიდან გადადგნენ სასჯელაღსრულების და შს საქმეთა მინისტრები ხათუნა კალმახელიძე და ბაჩანა ახალაია, პროკურატურამ დააკავა და პასუხისგებაში მისცა 10-ზე მეტი პირი.

ირაკლი ღარიბაშვილი: დასმენებისა და მოსმენების პოლიტიკა დასრულდა

„ქართული ოცნების” შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შსს-ში მოსმენებისა და დასმენების პოლიტიკა დასრულდა.

ამის შესახებ ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს” ეთერში განაცხადა.

„ტოტალური მოსმენების და დასმენების პოლიტიკა დამთავრდა, თუ რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ინტერესებს რაიმე საფრთხე არ ემუქრება. ამაზე კი კანონის შესაბამისად, სასამართლოს დადგენილებით ნებისმიერი პირის მოსმენა დაშვებული იქნება, ამას მე არ გადავწყვეტ. მე ვიძლევი გარანტიას, რომ ვერც მე და ვერც ჩემი რომელიმე თანამშრომელი ვერ მოგისმენთ. ასეთი პოლიტიკა სამინისტროში აღარ იქნება,” - განაცხადა ღარიბაშვილმა.

კეზერაშვილმა „რუსთავი 2“-ის და „მზის“ წილები გაასხვისა

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის კუთვნილმა კომპანია შპს „მედია ჯორჯიამ“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 40-პროცენტიანი წილი, რომელიც მან 4 ოქტომბერს იყიდა, 5 დღის შემდეგ ბიზნესმენ გიორგი ყარამანიშვილს მიჰყიდა. ამის შესახებ ინფორმაციას მედია.გე ავრცელებს.

ყარამანაშვილმა იყიდა ასევე “ჯორჯიან მედია კომპანიის” კუთვნილი 50-პროცენტიანი წილი ტელეკომპანია „მზეში“. ეს ცვლილება სამეწარმეო რეესტრში 2012 წლის 9 ოქტომბრით თარიღდება.

ქართული მედიის ცნობით, გიორგი (გია) ყარამანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეგობარია. ისინი კიევში სწავლის დროს ჯგუფელები იყვნენ. მასზე პრეზიდენტმა 2005 წელს, საჯარო გამოსვლისას ისაუბრა, როდესაც აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს გამოეხმაურა.

„ჩემს მეგობარს, გია ყარამანიშვილს წინაპრების მიერ აშენებული ოთხი სახლი ჰქონდა გაგრაში, სოხუმში, ბიჭვინთაში და ოჩამჩირეში. როდესაც გია ყარამანიშვილს დაუბრუნებენ ამ ოთხ სახლს და მისცემენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, მაშინ შეიძლება ეს არჩევნები ჩაითვალოს კანონიერად“, — განაცხადა სააკაშვილმა.

უკრაინული მედიის ცნობით, ქართველი ბიზნესმენი გიორგი ყარამანიშვილი კიევში რესტორან „ალაზანს“ ფლობს. საქართველოს მთავრობის ოფიციალური საიტის ცნობით კი, ყარამანიშვილი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოშიც შედიოდა, რომლის წევრებიც მის გარდა მინისტრები და თბილისის მერი, გიგი უგულავაც იყვნენ.

დასაქმების სამინისტრო, საკარაუდოდ, გაუქმდება

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე რამდენიმე სამინისტროს გაერთიანებას და პარლამენტში კომიტეტების რაოდენობის შემცირებას პროგნოზირებს.

როგორც საგანელიძემ ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში დღევანდელი შეხვედრის შემდეგ განუცხადა, გაერთიანება სავარაუდოდ, ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებს შეეხება. გარდა ამისა, საგანელიძე მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ცალკე უნდა იყოს და ბუნებრივ რესურსებთან მისი გაერთიანება დაუშვებელია.

„დასაქმების სამინისტრო ალბათ, უნდა გაუქმდეს. ამ ეტაპზე არსებობს ბევრი მოსაზრება, თუმცა ჩემი აზრით გარემოს დაცვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი რესურსებისგან იგი ცალკე უნდა იყოს, რათა ინტერესთა კონფლიქტი არ მოხდეს. კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის, თუმცა ფაქტია, რომ ზოგიერთი სამინისტრო ერთი კაცის ინტერესისთვის შეიქმნა”, - აღნიშნა დავით საგანელიძემ.

კახეთის გუბერნატორად, სავარაუდოდ, ზურაბ ჭიაბერაშვილი დაინიშნება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც კახეთის გუბერნატორად ინიშნება, კახეთში გამგებლებთან და საჯარო მოხელეებთან შეხვედრებს მართავს.

ჭიაბერაშვილი უკვე შეხვდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გამგებლის მოადგილეებს, სოფლების რწმუნებულებს. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო.

კვირას დღის მეორე ნახევარში ჭიაბერაშვილი შეხვედრას ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მართავდა. შეხვედრას ახმეტაშიც საჯარო მოხელეები ესწრებიან.

როგორც კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში განაცხადეს, პრეზიდენტი ახალ გუბერნატორს რამდენიმე დღეში დანიშნავს.

კახეთის გუბერნატორის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ყოფილმა გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. ამ დროისთვის გუბერნატორის მოვალეობას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი ასრულებს.

„ქართული ოცნება“ უსამართლოდ ჩამორთმეული ქონების ფაქტებს შეისწავლის

„უსამართლოდ ჩამორთმეული ქონების ფაქტებს აუცილებლად შევისწავლით. ეს იქნება მიწის თუ სხვა ნებისმიერი სახის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საკითხი და ვეცდებით სამართლიანობა აღვადგინოთ იქ, სადაც ეს შესაძლებელია“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ წევრმა, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა გიგლა აგულაშვილმა.

„იქ, სადაც შესაძლებელი არ არის ქონების დაბრუნება, მაგალითად იმის გამო, რომ ეს ქონება რამდენჯერმე გაყიდულია, ადგილი არ აქვს კრიმინალს და არიან კეთილსინდისიერი მყიდველები და ა.შ, რთული პროცედურაა, მაგრამ კომპენსაციების გზით სახელმწიფო მოახერხებს, რომ სამართლიანობის პროცესი იყოს ყველა მხარისთვის მისაღები,“ — აღნიშნა აგულაშვილმა.

მისივე თქმით, ის საჯარო მოხელეები და ფიზიკური პირები, ვინც ქონების უსამართლოდ ჩამორთმევის პროცესში მონაწილეობდნენ, აუცილებლად დაისჯებიან.

„თუ ვინმეს ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი დარღვევა, მოხელე იქნება თუ ფიზიკური პირი, ყველას მიეზღვება კანონის შესაბამისად. იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ასეთი საკითხების შესწავლა, ბევრი ვერსიაა, შეიძლება პარლამენტმა იმსჯელოს ამის თაობაზე, შექმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია და ამ კომისიის განსახილველ საკითხებში ეს საკითხიც იყოს, სამართლიანობის აღდგენის პროცესი იქნება ხანგრძლივი და ჩვენ ამ პროცესში აქტიურად ჩავერთვებით,“ — განაცხადა აგულაშვილმა.

ივანიშვილი: ბუნებრივი აირი გაიაფდება

როგორც დღევანდელ პრესკონფერენციაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ბუნებრივი აირი გაიაფდება.

„ჩვენ ვეცდებით ძლიან კარგი ურთიერთობა გვქონდეს აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან. მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ასეთი კეთილგანწყობილნი არიან ჩვენი ქვეყნის მიმართ და დაბალ ფასად გვაძლევენ გაზს, თუმცა ხელისუფლების მონოპოლისტური ხასიათის გამო, ისინი მოსახლეობას რა თქმა უნდა უძვირებდნენ მოსახლეობას გაზის ტარიფს. შევეცდებით, ეს ყველაფერი გამოვასწოროთ და მოსახლეობამ შეძლოს ბუნებრივი აირი შეღავათიან ფასად მიიღოს“,— განაცხადა მან.

უმუშევრებისთვის კომპენსაციის დაწესება იგეგმება

საქართველოში შესაძლოა უმუშევართა დაზღვევა და მათთვის კომპენსაციის გადახდა მოხდეს. ამ ინიციატივით ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი ამირან გამყრელიძე გამოდის. მისი თქმით, მსგავსი პროგრამები ყველა ცივილიზებულ ქვეყნებშია და შესაბამისი მოდელი საქართველოშიც უნდა დაინერგოს.

„უმუშევრობის კომპენსირების და დაზღვევის ფორმა ცივილურ ქვეყნებში ადამიანთა სოციალური დაცვის მიღებული ფორმა. როცა ადამიანი სამსახურს კარგავს, მას გარკვეული პერიოდი, სანამ ახალ სამსახურს მოიძიებს, უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსგან გარკვეული მხარდაჭერა.

ზაზა კედელაშვილი 49,67% – ალექსანდრე თამაზაშვილი 47,56%

დედოფლისწყაროს და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა შედეგი ძალაში დატოვა

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, დედოფლისწყაროში „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს ზაზა კედელაშვილს — 49,67% აქვს (6 895 ხმა), ხოლო „ქართული ოცნების" კანდიდატს ალექსანდრე თამაზაშვილს – 47,56%. (6 603 ხმა) რაც შეეხება პარტიულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში დედოფლისწყაროს ოლქში ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა და ყველა უბნის მონაცემის მიხედვით, პროპორციული სისტემით „ქართული ოცნება" ლიდერობს - 49,17% -ით, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას" - 47,02% აქვს .

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **შორენა ყაველაშვილმა** „ქართული ოცნების" სარჩელი, რომლითაც კოალიცია დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში 10 უბნის შედეგების ბათილად ცნობას ითხოვდა, 9 ოქტომბრის სხდომაზე არ დააკმაყოფილა.

დღის 14:00 საათზე დაწყებული პროცესი ღამის 21:00 საათისთვის დასრულდა. გადაწყვეტილება კი მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა ღამის 12 საათზე გამოაცხადა.

ყაველაშვილმა „ქართული ოცნების" სარჩელი, მტკიცებულებების წარდგენის დროს არსებული პროცედურული დარღვევების მიზეზით არ დააკამყოფილა.

დარბაზმა სხდომაზე დასწრების მსურველები ვერ დაიტია. პროცესის დაწყების შემდეგ კიდევ ორასამდე ადამიანი საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო შენობასთან ელოდა.

პროცესს „ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი ლექსო თამაზაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ზაზა კედელაშვილიც დაესწრნენ. ასევე, მათი მხარდამჭერები. სასამართლოზე მესამე მხარედ მიწვეულები იყვნენ დანარჩენი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც, რომელთაგან დარბაზში ყველა მათგანი გამოცხადდა. სხდომას შსს მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი ღარიბაშვილის მამა ტარიელ ღარიბაშვილიც ესწრებოდა. განსაკუთრებით ჭარბობდნენ „ქართული ოცნების" მხარდამჭერები.

მოპასუხე მხარეს ცესკო-ს თანამშრომელი ვანო პეტრიაშვილი წარმოადგენდა, რომელსაც სოფელ ვაქირის მე-5 საარჩევნო უბნის კომისიის წევრები ჩანაწერთა წიგნში არსებული მონაცემების გადასწორებასა და კენჭისყრის დღის შემაჯამებელი ოქმის გაყალბებაში ადანაშაულებენ.

სასამართლო პროცესზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა, ადვოკატმა ზურაბ ჯიბღაშვილმა დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის 1, მე-4, მე-9, მე-11, მე-13, მე-15, მე-17, მე-18, მე-19 და 22-ე უბნების მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების შედეგების გაბათილება, აღნიშნულ უბნებზე მიღებული შედეგების გასაჩივრებაზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული დადგენილებების ბათილად ცნობა და განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება მოითხოვა.

„მე-17 უბანზე არ არის მითითებული ბეჭდის ნომერი, წერია მხოლოდ წელი. მე-19 უბანზე, საარჩევნო ყუთიდან ამოღებული ბიულეტენი მეტია არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობაზე. ახსნა-განმარტება შედგენილი არ არის შესაბამისი სუბიექტის მიერ და არ აქვს მითითებული შედგენის თარიღი და დრო. დისბალანსია მე-15 და მე-17 უბნებზე პროპორციული და მაჟორიტარული ამომრჩევლების რაოდენობას შორის. მე-15 უბანზე ეს სხვაობა 17 ამომრჩეველია, მე-17-ზე კი 13, ოქმში კი ორივე სიაში ხელმომწერთა რაოდენობა ერთიდაიგივეა. მე-18 უბანზე სოფლის რწმუნებული არტაკ აივაზიანი ამომრჩეველს აშინებდა დახმარების მოხსნით, სამსახურიდან დათხოვნით, თუ ღიად არ შემოხაზავდნენ არჩევანს. პირველ უბანზე ირღვეოდა ფარულობა, ზოგი კაბინაში ტელეფონით იღებდა საკუთარ არჩევანს, ზოგი აჩვენებდა შემოხაზულ ბიულეტენს. მე-13 უბანზე 08:15 საათზე ჩავარდა საკონტროლო ფურცელი სარჩევნო ყუთში, ჩანაწერთა წიგნში გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობაში წერია 0, გამოუყენებელი კონვერტების რაოდენობაში მითითებულია სხვა ციფრი და შემდეგ გადაკეთებულია ნულად. ასევე მიღებული ბიულეტენების რაოდენობაა 700, ამომრჩეველთა რაოდენობა 501, თუ გამოუყენებელი ბიულეტენები ნულია, მაშინ სად წავიდა 199 ბიულეტენი? 22-ე უბანზე ამომრჩეველი ზემოქმედებას ახდენდა ამომრჩევლების ნებაზე და შეჰყვებოდა მათ კაბინაში," — განაცხადა ზურაბ ჯიბღაშვილმა.

პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ 22-ე უბანზე ვენერა მარტყოფლიშვილი სპეციალურად იყო მიწვეული, რომ მოქალაქეებს დახმარებოდა და ამით „მადლს ისხავდა". თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, რატომ გახდა აუცილებელი ამომრჩეველს მასიურად მხოლოდ ვენერა მარტყოფლიშვილი დახმარებოდა და არა სხვა ამომრჩეველი. მას საეჭვიოდ არ მიაჩნდა ის გარემოება, რომ ერთი ქალბატონი ახდენდა ყველა ამომრჩევლის დახმარებას. მით უფრო, რომ ვენერა იუნენკო-მარტყოფლიშვილი ბოშათა გაერთიანების ხელმძღვანელია.

„უბანზე დასახმარებლად მიწვეული იქნა პირი, რომელიც ამომრჩეველს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ემსახურებოდა. ის არ განეკუთვნებოდა პირს, რომელსაც ეკრძალება ამომრჩევლის დახმარება, ეს ქალბატონი დიდ მადლს ისხავდა და ამომრჩეველს ეხმარებოდა," — აღნიშნა ვანო პეტრიაშვილმა.

ამ განცხადებამ დარბაზში მსხდომი „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ძალზე გააღიზიანა. სხდომა ხმაურიანად მიმდინარეობდა, დარბაზიდან იყო ცალკეული რეპლეკები.

მოსარჩელე მხარემ პროცესზე 22-ე უბანზე არსებული დარღვევის ამსახველი ვიდეოკადრებიც წარმოადგინა, სადაც დაფიქსირებულია როგორ შეჰყვება კაბინაში ამომრჩევლებს ქალბატონი და როგორ ხაზავს ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის ნომერს. მოსამართლე აღნიშნულ ვიდეოჩანაწერს მხარეებთან ერთად გაეცნო.

ვანო პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ ცესკოს ახალი დადგენილების მიხედვით, უბანზე გადაღება შესაძლოა მოხდეს განსაზღვრული ადგილიდან და ისე, რომ ჩანდეს მხოლოდ საარჩევნო ყუთი. სხვა გზით მოპოვებული მტკიცებულებები კანონსაწინააღმდეგოა და არ შეიძლება იურიდიული ძალა გააჩნდეს. ანუ, პეტრიაშვილი ამბობს, რომ **დარღვევა მოხდა, თუმცა, იმის გამო, რომ ის კამერამ სხვა რაკურსით აღბეჭდა, და არა ისე, როგორც კანონი ითვალისწინებს, მტკიცებულებად არ ითვლება.**

ვანო პეტრიაშვილმა მოითხოვა, რომ მოსარჩელე მხარის სარჩელი ხანდაზმულობის გამო არ დაკმაყოფილებულიყო: „სარჩელი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე მხარის პრეტენზია შეეხება უბნებზე კენჭისყრის პროცედურის დროს არსებულ დარღვევებს, უბანზე საჩივარი უნდა დაიწეროს დარღვევის დაფიქსირებისთანავე. კენჭისყრის დასრულების და ხმის დათვლის შემდეგ წარდგენილი საჩივარი ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. თქვენი წარმომადგენლები იმყოფებოდნენ უბანზე და შეეძლოთ დაეფიქსირებინათ დარღვევის ფაქტები. ასევე, ადმინისტრაციული აქტი ბათილია თუ კანონდებლობას ეწინააღმდეგება ან დარღვევით არის გამოცემული, აქედან გამომდინარე ბათილობის საფუძველი არ არსებობს," — აღნიშა პეტრიაშვილმა.

პროცესზე მოწმის სახით დაიკითხნენ მე-18 საბათლოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ლამზირა სურმანიძე და ამომრჩეველი ლიანა ოვსეპიანი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ უბნებზე დარღვევებს ჰქონდა ადგილი.

ლამზირა სურმანიძე: „კომისიის წევრი ვიყავი „ლეიბორისტული პარტიიდან". არჩევნებზე პირველად ვიყავი და რასაც მეუბნებოდნენ იმას ვაკეთებდი. პროცესი წესიერად არ ჩატარდა. ამომრჩევლები ბიულეტენებს არ კეცავდნენ, კომისიის წევრებს ანახებდნენ და ისე აგდებდნენ ურნაში. რწმუნებულიც იქ იყო, არტაკ აივაზიანი და ისიც ხედავდა ვინ რა შემოხაზა, რა თქმა უნდა ყველა 5-იანს ხაზავდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ სხვა შედეგი იქნებოდა უბანზე. თან ერთი ამომრჩეველი 2-ჯერ მაინც შემოდიოდა. ჩემმა ქმარმა რომ ხმა მისცა და არ აჩვენა კომისიას რა შემოხაზა, ამის გამო ზეწოლა იყო ჩემზე, რატომ არ გვაჩვენაო".

ლიანა ოვსეპიანი: „ამომრჩევლებზე არჩევნებამდეც ზეწოლა იყო და იმ დღესაც. 5-იანს მიეცით ხმაო, აშინებდნენ ხალხს, თორემ თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, დაგიჭერთ, დახმარებას მოგიხსნითო. არჩევნებამდე 2 დღით ადრე სოფლის რწმუნებულმა მითხრა, 500 ლარს მოგცემ და გაჩუმდიო, რადგან აქტიური ვიყავი. მანანა აბაჯანიანიც არჩევნების წინა დღეს ყველა ოჯახში მიდიოდა და ეუბნებოდა, რომ შემოხაზავთ, ბიულეტენი უნდა გახსნათ და ვნახოთო. უბანზე ხმის მისაცემად რომ მივედი, იმდენი ხალხი იყო უბანზე, ადგილი ააღარ იყო, მეორე ოთახში ამომრჩევლები შეჰყავდათ, სუფრა ჰქონდათ გაშლილი, ღვინო-არაყს ასმევდნენ და მერე აძლევდნენ ბიულეტენებს".

ამის შემდგომ, დავამ დედოფლისწყაროდან თბილისში, ზედა ინსტანციაში გადაინაცვლა, თუმცა, ამჯერადაც უშედეგოდ.

„ქართული ოცნების" მოთხოვნა, ზოგიერთი საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმების თაობაზე, 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, არც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა. დედოფლისწყაროს სასამართლოს მოსამართლის, შორენა ყაველაშვილის მიერ დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების ძალაში დატოვების შემდეგ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა ყაველაშვილის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

როგორც „ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს შტაბის ერთ-ერთმა ლიდერმა ლია კვაჭაძემ გაზეთ „შირაქს" განუცხადა, სასამართლოს ზედა ინსტანციამ მიზეზად, ამ შემთხვევაშიც საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა დაასახელა. შეგახსენებთ, ამავე საკითხზე სასამართლო სხდომა დედოფლისწყაროს სასამართლოშიც შედგა, თუმცა სარჩელი არც იქ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ „ქართული ოცნების" სარჩელის დაუკმაყოფილებლობისა და არჩევნების შედეგების ძალაში დატოვების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის" დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა **ზაზა კედელაშვილმა** ჟურნალისტებთან საუბარში მოკლე კომენტარი გააკეთა.

ევროპის სამგზის ჩემპიონის, ყოფილი ძიუდოისტის, ზაზა კედელაშვილის განმარტებით, სასამართლომ ივანიშვილის გუნდის წევრების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში სერიოზული დარღვევები ვერ აღმოაჩინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დედოფლისწყაროს მოსამართლე ამგვარ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა.

„სერიოზული დარღვევები რომ ყოფილიყო, სასამართლო ამ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა. უფლება აქვთ, რომ გაასაჩივრონ და ასაჩივრებენ... არჩევნები ჩატარდა სწორად და სამართლიანად... ამ არჩევნებში მცირე უპირატესობით, მაგრამ მე გავიმარჯვე. ეს ყველაფერი თეთრზე შავით წერია და თუ ვინმეს ეს არ სურს, სურვილზე არ არის," — აღნიშნა კედელაშვილმა.

„შეწუხებულები ვართ, რომ ჩვენი სიმართლე ვერ გავიტანეთ, ხსენებულ უბნებში მოსახლეობამ თავისი არჩევანი თავისუფლად ვერ გამოხატა, იყო ტერორი"

„სასამართლო ვერ გათავისუფლდა ყოფილი ხელისუფლების წნეხისგან. წარვადგინეთ ვიდეოკადრებიც, მოწმეებიც, აშკარა იყო დარღვევები, თუმცა ყველაფრის მიუხედავად ძალაში დატოვეს დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის შედეგები. ჩვენ არ შევჩერდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ," – აღნიშნა ალექსანდრე თამაზაშვილმა.

„ჩვენ იმდენად ძლიერი მტკიცებულებები გვქონდა, ვფიქრობდით, რომ სასამართლო გაითვალისწინებდა და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდა. როგორც ჩანს სასამართლოს სიმართლე არ აინტერესებს და კვლავაც ძველი სტერეოტიპებით, ინერციით მოქმედებს. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში ძალიან მალე დასრულდება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ძალიან უკმაყოფილო და შეწუხებულები ვართ იმით, რომ ჩვენი სიმართლე ვერ გავიტანეთ. სიმართლე კი არის ის, რომ დედოფლისწყაროში ტოტალურად გაყალბდა არჩევნები. იყო მოსახლეობის ტერორი, რის გამოც ზემოთ ნახსენებ უბნებში მოსახლეობამ თავისი არჩევანი თავისუფლად ვერ გამოხატა და მივიღეთ მიკერძოებული არჩევნები," – განაცხადა დედოფლისწყაროს შტაბის წარმომადგენელმა ლია კვაჭაძემ.

ილია მარტყოფლიშვილი

მინისტრობის კანდიდატები და ბიოგრაფიები

ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის ახალი წევრების უმრავლესობა უკვე დაასახელა. „ჩემი გუნდის წევრებს ძირითადად საერთო აქვთ პატიოსნება", - ასე დაახასიათა მინისტრთა კაბინეტის მომავალი შემადგენლობა ბიძინა ივანიშვილმა.
„საერთო - პატიოსნება", ბიოგრაფიები, გუნებრივია, განსხვავებული. ვნახოთ და გავიხსენოთ, „ვინ საიდან მოვიდა". . .

თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერი ირაკლი ალასანია. ირაკლი ალასანია - გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იყო 2006 წლის ივნისიდან 2008 წლის დეკემბრამდე. 2006 წლის 17 მარტამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. იგი ასევე იყო პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში. 2005 წლის 15 თებერვალს ალასანია დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად აფხაზეთში. იმავდროულად იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 2004 წლის 16 ივლისიდან იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ხოლო ამ პოზიციის დაკავებამდე იყო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. 2002 წლის იანვრიდან ალასანია იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, მანამდე 2001 წლის ოქტომბრიდან იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტს. ირაკლი ალასანიამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა დაიწყო 1998 წლიდან, სადაც 2001 წლის სექტემბრამდე იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს, მათ შორის მუშაობდა დსთ-სა და რუსეთის დეპარტამენტში და აშშ-ს, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში. ალასანიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1995 წელს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის კვალიფიკაციით დაამთავრა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი - ირაკლი ღარიბაშვილი. ღარიბაშვილი დაიბადა 1982 წლის 28 ივნისს დედოფლისწყაროში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი. შემდეგ სწავლა პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში გააგრძელა. საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა და მუშაობა საქველმოქმედო ფონდ „ქართუში" ლოჯისტიკის დეპარტამენტის მენეჯერის ასისტენტად დაიწყო. 2005 წელს ბიძინა ივანიშვილის თანაშემწე და „ქართუს" პრეზიდენტი გახდა. დაარსების დღიდან პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო - სოზარ სუბარი. დაიბადა 1964 წლის 4 ნოემბერს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში. 1971-1981 წლებში სწავლობდა ჭუბერის საჯარო სკოლაში. 1982 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. 1991-1995 წლებში სწავლობდა სასულიერო აკადემიაში თეოლოგიის ფაკულტეტზე. 1996 წელს მონაწილეობდა ჟურნალისტთა საერთაშორისო სასწავლო პროგრამაში - "რადიო თავისუფლება - რადიო თავისუფალი ევროპა". 1987 წელს იგი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიის განყოფილებაში, 1998 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში - არქეოლოგიის და ეთნოლოგიის მეცნიერებათა აკადემიაში. 1989 წელს მსახურობდა დავითგარეჯის მონასტერში დიაკონად. 1989-1992 წლებში მუშაობდა სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორად დმანისის რაიონში. 1989-1991 წელს მსახურობდა დიაკონად დმანისში, სიონის ტაძარში, ხოლო 1991-1995 წლებში ივერიის წმინდა მარიამის სახელობის ტაძარში - თბილისში. 1993 წელს მონაწილეობდა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. 1995-1996 წლებში მუშაობდა კორესპონდენტად გაზეთ „კავკასიონში". 1996-2000 წლებში კი ამავე გაზეთის რედაქტორი გახლდათ. 1998 წლიდან მუშაობდა ლონდონის ომისა და მშვიდობის ინსტიტუტის კორესპონდენტად, 1996-1998 წლებში კი რადიო თავისუფლების კორესპონდენტად პრაღაში. 1997 წლიდან არის თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბის თავმჯდომარე. 2000 წელს იყო ჟურნალ „არილის" რედაქტორთა ჯგუფის წევრი. 2001-2002 წლებში მუშაობდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" ჟურნალისტთა გადამზადების პროექტში. 2002-2003 წლებში იყო ჟურნალისტური საგამოძიებო სკოლის „60 წუთის" აღმასრულებელ ჯგუფის წევრი. 2002 წელს გახდა კავკასიელ ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი. 2003 წელს გახლდათ თავისუფლების ინსტიტუტის რეგიონული ქსელის კოორდინატორი. 2002 წელს გახლდათ ჟურნალ „თავისუფლების", 2003 წელს კი ჟურნალ „მედიატორის" რედაქტორთა ჯგუფის წევრი. 2003 წელს თავისუფლების ინსტიტუტის სამართლის პროექტის დირექტორი. .2003 წელს გახდა ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" თანადამფუძნებელი. 2004 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველად 5 წლის ვადით. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი - მაია ფანჯიკიძე. მაია ფანჯიკიძე - წლების განმავლობაში დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. 1983-1994 თბილისის მე-6 ქართული გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელი, გერმანული ენის სწავლების მიმართულების ხელმძღვანელი; 1988-1994 თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის დოცენტი; 1993-1994 გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე; 1994-1997 გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი; 1997-2001 გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი; 08.2001-02.2002 საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის მრჩეველი; 02.2002-08.2002 გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი; 08.2002-02.2004 საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; 02.2004-03.2004 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 03.2004-01.2007 საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; 03.2007-03.2010 საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდის სამეფოში; 09.2010 — 12.2011 გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უცხო ენების ცენტრის ხელმძღვანელი; „ევროპული სკოლის"და სკოლა „ლოგოსის" გერმანული ენის მასწავლებელი; 26.12.2012 — ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერი.

იუსტიციის მინისტრი - თეა წულუკიანი. დაამთავრა ლიონის (საფრანგეთი) ამპერის სახელობის ლიცეუმი; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიის აკადემია; საფრანგეთში სახელმწიფოს მართვის სკოლა გამოცდილება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის თანამშრომელი სარტის დეპარტამენტის (დასავლეთ საფრანგეთი) პრეფექტის კაბინეტის თანამშრომელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანამშრომელი სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი.

კახა კალაძე - **რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი და მეორე ვიცე-პრემიერი.** დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი. 9 წლის მანძილზე იყო საფეხბურთო კლუბ „მილანის" წევრი. მილანში ჩარიცხვამდე იგი თბილისის „დინამოსა" (1993-1997) და კიევის „დინამოში" (1998-2001) თამაშობდა. 2001 წელს კალაძე გახდა ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი, მილანმა მის ტრანსფერში 16 მილიონი ევრო გადაიხადა. თამაშობდა მარცხენა და ცენტრალურ მცველად. კალაძე რამდენჯერმე დაასახელეს წლის საუკეთესო ქართველ მოთამაშედ. კარიერა დაასრულა 2012 წელს.

კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი - მირიანე (გურამ) ოდიშარია. გურამ ოდიშარია დაიბადა 1951 წლის 24 სექტემბერს სოხუმში. სოხუმშივე დაამთავრა საშუალო სკოლა და აფხაზეთის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ის 9 პოეტური და 10 პროზაული წიგნის, რამდენიმე პიესის, კინო და ტელე სცენარების ავტორია. მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს მისმა რომანებმა: „შავი ზღვის ოკეანემ", „სოხუმში დაბრუნებამ" და „პრეზიდენტის კატამ". ასევე პოპულარული იყო მისი პიესა"... ზღვა, რომელიც შორია", რომელიც დადგა ცნობილმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ. ის დაჯილდოებულია საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის სახელობის, გამომცემლობა „ლომისის", საქართველოს თეატრალური საზოგადოების, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიებით. ასევე, ა.ჩეხოვის ოქროს მედლითა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრემიით „ოქროს ფრთა". მისი ნაწარმოებები თარგმნილია ათ ენაზე.

დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი მწერალი, პუბლიცისტი საქართველოს სახელმწიფო, მწერალთა კავშირის, თეატრალური საზოგადოების, ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი, ანტონ ჩეხოვის სახელობის ოქროს მედლის მფლობელი მშვიდობის ელჩის წოდების ლაურეატი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი - ლევან ყიფიანი. მუშაობდა: კავშირი „ჩვენი ფეხბურთი", ვეტერანი ფეხბურთელი ს.კ. „დინამო" თბილისი, საქართველოს ჩემპიონი, თასის მფლობელი, სპორტული კლუვი „შევარდენი—1906"თბილისი; საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნების" სპორტის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი.



ჯანდაცვის მინისტრი - ამირან გამყრელიძე. მუშაობდა იმუნოლოგიის ინსტიტუტში; მედიცინის ექიმი მკურნალი 1990; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამკურნალო საქმე მედიცინის 1979; ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი სამკურნალო საქმე ექიმი მკურნალი-1974. სამსახურეობრივი გამოცდილება- საქართველოს უნივერსიტეტი-სრული პროფესორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი 2001-2004 წლებში; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი- ასისტენტ- პროფესორი -1978-2002; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო- მინისტრის პირველი მოადგილე 1997-2001; ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი -დირექტორი 1995-1997; თსსუ, კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი, ალერგიულ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი 1988-1996.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - პაატა ზაქარეიშვილი. დაიბადა 1958 წლის 4 აგვისტოს. 1984 წელს დაამთავრა ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1993 წელს — თბილისის სასულიერო აკადემია.1992-1995 წლებში იყო ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი, ხოლო 1992-1997 წლებში- ქართულ—აფხაზურ კონფლიქტში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი. 1995 წელს ასრულებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრჩევლის მოვალეობას დევნილთა და ლტოლვილთა საკითხებზე. 1995-1997წლებში იყო ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ნიუ-იორკი) იძულებითი მიგრაციის პროექტის კოორდინატორი , ხოლო 1995 — 2000 წლებში- საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის აპარატის უფროსი. 1995 წლიდან დღემდე არის კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვაინი) ქართულ—აფხაზური სამოქალაქო დიალოგის პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი, ასევე 1998 წლიდან დღემდე არის შერიგების რესურსების (ლონდონი) ქართულიაფხაზური პროექტების კოორდინატორი ქართული მხრიდან. მათ შორის "შლაინინგის პროცესის" ქართული მხარის კოორდინატორი. 2000—2001 წლებში ასრულებდა საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას. 2000-2004 წლებში კი გახდა "ფონდ ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს წევრი. 2002 - 2006 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი, ხოლო 2009 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს (ISNC).

სოფლის მეურნეობის მინისტრი - დავით კირვალიძე - დაიბადა 1967 წლის 28 ივნისს, 1984 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1989 წელს მუშაობა დაიწყო ამავე ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე, 1993 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის აგრარულ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს როგორც აგრარულ უნივერსიტეტში, აგრეთვე აშშ-საქართველოს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის ინსტიტუტში. 1996-99 წლებში იყო წარმატებული ფერმერი. 1999 წლიდან 2000 წლის ივნისამდე დავით კირვალიძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 2000 წლის ივნისიდან 2004 წლის თებერვლამდე - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი. 2005-2006 წლიებში იგი ლექციებს კითხულობდა მერილენდის უნივერსიტეტში (US), ხოლო 2006 წლიდან დღემდე არის ამერიკული ორგანიზაცია CNFA-ს პრეზიდენტის მრჩეველი ვაშინგტონში. CNFA-მ რამდენიმე წარმატებული პროექტი განახორციელა საქართველოში. მათ შორის: ათასწლეულის გამოწვევის "საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი", აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტები: "საქართველოს სოფლის მეურნეობის რისკების შემცირების პროგრამა", "მექანიზაციის პროექტი" და"ფერმერი-ფერმერს პროგრამა".ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს იყო სოფლის მეურნეობის მინისტრი. რამდენიმე წლის წინ მას ბრალი ჰუმანიტარული ტვირთების არამიზნობრივ გადანაწილებაში დასდეს. პარალელურად ყოფილი მინისტრის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს, თუმცა რაიმე დოკუმენტს სამართალდამცავებმა ვერ მიაკვლიეს.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში მინისტრი- ალექსი პეტრიაშვილი - საქართველოს ყოფილი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთში, მუშაობდა საქართველოს საელჩოში აშშ.-ში, მექსიკასა და კანადაში, საქართველოს საკონსულოში ავსტრიაში, ეუთო-ში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პრეზიდენტის კანცელარიაში.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - მანანა კობახიძე. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ორგანიზაცია" საზოგადოებრივი დამცველის" აღმასრულებელი დირექტორი "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" დირექტორი; ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" დამფუძნებელი, გამგეობის წევრი.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატი კოტე სურგულაძე - 41 წლის, იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, კარიერული დიპლომატი. 1995 წლიდან მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 2001-2005 წლებში იყო საქართველოს კონსული დიდ ბრიტანეთში. 2005-2006 წლებში დაკავებული იყო ბიზნესით, ხოლო 2006-2007 წლებში დაბრუნდა საგარეო საქმეთა სამინისტროში და ხელმძღვანელობდა საკონსულო დეპარტამენტს. 2008 წელს დატოვა საჯარო სამსახური და 2009 წლიდან არის პარტია „თავისუფალი დემოკრატების" დამფუძნებელი. 2012 წლიდან დღემდე იყო კოალიცია „ქართული ოცნების"მიგრაციისა და დისპორებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი. ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი დავით უსუფაშვილი 1968 წლის 5 მარტს დაიბადა; განათლება: დიუკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი (აშშ, 1999) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი (1992); სამუშაო გამოცდილება: საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე (2005- დღემდე) USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტების იურიდიული რეფორმების ხელმძღვანელი (2001-2005) ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი (2000-2001) ფონდი "ღია საზოგადოება — საქართველოს" საბჭოს წევრი (1995-1997, 2000-2001) AMEX Iნტერნატიონალ-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი (1999-2000) სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-1995) ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული გაყოფილების გამგე (1990-1992) სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყოფილების მრჩეველი (1992-1994); პედაგოგიური საქმიანობა: თსუ ლექტორი (1992-1997); პროფესიული ქსელი: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1994-1997) იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი - ნოდარ ჯავახიშვილი. 2010 წლის 1 მარტიდან პ/გ "ეროვნული ფორუმის" წევრი იყო. 2011 წლის 30 მარტიდან პ/გ „ეროვნული ფორუმის" პოლიტიკური საბჭოს წევრი. 1994-2004წწ. – საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომში ამავე კომიტეტის თავმჯდომარე.1993-1998წწ. - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. 1992-1993წწ. - "ბინსოცბანკის" ისნის განყოფილების მმართველი. 1988-1991წწ. - სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის თავმჯდომარის მოადგილე. 1987-1988წწ. - ამავე ბანკში საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი. 1983-1985წწ. - ქ. რუსთავის ბანკის მმართველი. 1981-1983წწ. - მძიმე მრეწველობის დაკრედიტების სამმართველოს უფროსი. 1977-1981წწ. - უფროსი ეკონომისტი. განათლება - 1972-1977წწ. - დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი; დაბადების თარიღი: 7 ოქტომბერი, 1954 წელი ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი.

გენერალური პროკურორის პოსტზე წარდგენილია არჩილ კბილაშვილი. ის 1971 წელს ბაღდათში დაიბადა. 1993 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1995 წელს კი იმავე უნივერსიტეტში მიიღო სახელმწიფო სამართლის მაგისტრის ხარისხი. 1993 წლიდან საადვოკატო საქმიანობა დაიწყო. ბოლო პერიოდამდე არჩილ კბილაშვილი მოღვაწეობდა წამყვან ქართულ იურიდიულ ფირმაში "მგალობლიშვილი, ყიფიანი ძიძიგური". როგორც ფირმის პარტნიორი და წამყვანი იურისტი, არჩილ კბილაშვილი სხვადასხვა დროს მსხვილი უცხოური კომპანიებისა და წარმატებული ბიზნესმენების ინტერესებს იცავდა საქართველოში და საზღვარგარეთ. 2006 წელს არჩილ კბილაშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა. 2009 წელს კი იგი არჩეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრად. 2007 წელს კი არჩილ კბილაშვილი არჩეულ იქნა საქართველოში საფრანგეთის საელჩოს პირად ადვოკატ-კონსულად. ბოლო დროს არჩილ კბილაშვილი იცავდა ასევე ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ინტერესებს სასამართლოში საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვისას. 2012 წლის 15 თებერვალს კი ბიძინა ივანიშვილმა ადვოკატი არჩილ კბილაშვილი პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრად დაასახელა. იგი ქართულთან ერთად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. მას ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი - მაია მიმინოშვილი. მაია მიმინოშვილი დაიბადა 1960 წლის 1 აგვისტოს. ეროვნებით ქართველი. დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა—მათემატიკის სკოლა, რის შემდეგაც მიიღო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლება, მექანიკა—მათემატიკის ფაკულტეტის განხრით. 1982—1985 წლებში დაამთვარა ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. მინიჭებული აქვს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სტატუსი. მაია მიმინოშვილს გააჩნია 26 წლიანი სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა საგანამანათლებლო სისტემებში. 2008 წლიდან მაია მიმინოშვილი არის გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორი - რევაზ შავიშვილი. რეზო შავიშვილი დაიბადა 1955 წლის 30 მაისს. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსისტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა აბიოფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერმუშაკად. 1992 წელს გახდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. ამავე წელს დაინიშნა კონტროლის პალატის ხელმძღვანელად და ამ პოსტზე 2000 წლის მაისამდე მუშაობდა.

კოალიცია "ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის მომავალი შემადგენლობიდან უმრავლესობა უკვე დაასახელა, თუმცა ამ დროისთვის შვიდი პოსტი ვაკანტური რჩება.

ივანიშვილს არ დაუსახელებია ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატი, ასევე - გარემოს დაცვის, ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრობის კანდიდატები.

უფასო გამრიცხველიანება თუ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა?!

ახლახან, კახეთის ენერგოდისტრიბუციამ დედოფლისწყაროს სოფლების გამრიცხველიანება დაიწყო. ქალაქ დედოფლისწყაროს გამრიცხველიანების შემდეგ, ენერგოდისტრიბუცია სოფლების გამრიცხველიანებას ჯერ კიდევ ორი წლის წინ გეგმავდა. იყო პირობა, რომ ეს პროცესი მოსახლეობისთვის სავსებით უმტკივნეულოდ განხორციელდებოდა და მრიცხველების ხარჯს მთლიანად კომპანია დაფარავდა. ამას ადასტურებდა ჯერ კიდევ ორი წლის წინ თვით გაზეთ „შირაქთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერი ვლადიმერ მოსულიშვილიც.

როგორც აღმოჩნდა, დროში გაწელილი დაპირების მოგვარება მხოლოდ წინასაარჩევნოდ დადგა დღის წესრიგში, ამასთან, თითქოსდა უფასოდ დამონტაჟებული მრიცხველები, აბონენტებისთვის მართალია სხვა ფორმით, მაგრამ მაინც ფასიანი აღმოჩნდა.

სოფელ ოზაანში დამონტაჟებულ ახალ მრიცხველებზე, სადაც გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის დაფიქსირებული, მოსახლეობას მათთვის გაურკვეველი გადასახადი ქვითრების სახით მაინც მისდის. როგორც გაზეთ „შირაქისთვის“ გახდა ცნობილი, სოფელ ოზაანში ენერგოდისტრიბუციის წარმომადგენლებმა მრიცხველების დამონტაჟება დაიწყეს. ახალი მრიცხველი ჯერ ამუშავებული არ არის, თუმცა მოსახლეობას გადასახადის სახით 13 ან 14 ლარის ქვითარი მისდის, რომელიც აბონენტს თანხის გარკვეულ ვადაში გადახდას ავალდებულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურჩ გადამხდელებს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით ემუქრება. მოსახლეობის კითხვას, თუ რას ნიშნავს აღნიშნული გადასახადი, დისტრიბუტორი პასუხობს, რომ ეს ეგრეთ წოდებული ჯარიმა გახლავთ, ის კი არავინ იცის, დასაჯარიმებელი რა დაუშავეს. - „უკვე სამი თვეა, ახალი მრიცხველი დაგვიმონტაჟეს, ვითომ თავისი ხარჯებით, მაგრამ მას შემდეგ უკვე სამჯერ სოფელში ყველა ოჯახს ყოველთვიურად 13-14 ლარი გადახდა გვიწევს, როცა ვკითხულობთ, ეს რას შეეხება, გვეუბნებიან — ჯარიმააო. „კი მაგრამ რა ჯარიმა, ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია, მრიცხველი ჯერ არ მუშაობს, რაზეც განაცხადიც შევიტანეთ, რატომ მოგვდის ყველას თანაბარი და ამასთან ამხელა გადასახადები, ვერ ვხვდებით. ერთად ერთი დასკვნა, რასაც აბონენტები ვფიქრობთ ის გახლავთ, რომ ვითომ უფასოდ დამონტაჟებული მრიცხველები სინამდვილეში შეპარვით და ძალით შეგვასყიდეს, სამი თვე 13 -14 ლარის გადასახადი კიდევაც უტოლდება მრიცხველის ღირებულებას - 45 ლარს. არადა დაპირება ისეთი იყო, რომ ეს პროცესი მოსახლეობისთვის უფასო და დანახარჯის გარეშე უნდა განხორციელებულიყო. რატომ გვატყუებენ, ეს ხომ უსამართლობაა?!“ - აცხადებს სოფელ ოზაანის მაცხოვრებელი იოსებ გიგოლაშვილი, იგივეს აცხადებს მთელი სოფლის მოსახლეობა და სიმართლის გარკვევას მოითხოვენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის დირექტორს ვლადიმერ მოსულიშვილს, რომელმაც სატელეფონო საუბარში აღნიშნა, – „გაწერილი თანხა არ გახლავთ ჯარიმა, როგორც ჩანს, მოსახლეობა შეცდომაში შეუყვანიათ. ის ოჯახზე მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო მაჩვენებელია. ვინაიდან ჯერჯერობით კახეთის ელექტროდისტრიბუციის მიერ სოფელ ოზაანის წაკითხვა არ მომხდარა, აბონენტებს ქვითარს მოხმარებული ელექტროენერგიის სავარაუდო ან საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ვუწერთ. როდესაც მრიცხველები გასწორდება და მისი წაკითხვა შესაძლებელი გახდება, ყველაფერი დაბალანსდება.

– კი, მაგრამ ზოგიერთი ოჯახი არა 13 ლარის ელექტროენერგიას მოიხმარს, არამედ 4 ან 5 ლარის დენს ხარჯავს, თუ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ანგარიშობთ,

რატომ ახდევინებთ მაინცდამაინც მაღალი მაჩვენებელით ?!

– როდესაც მრიცხველი წაიკითხება, თუ მოხმარებული დენის ოდენობა გადახდილზე ნაკლები იქნება, აბონენტებს დეპოზიტზე დაუჯდებათ დარჩენილი თანხა, - აცხადებს მოსულიშვილი.

ჩვენ ასევე დავუკავშირდით „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ჟანა დიდებაშვილს და ვთხოვეთ, რომ სათაო ოფისში რაც შეიძლება დროულად მომხდარიყო სოფელ ოზაანის წაკითხვა, რათა მოსახლეობის გულისწყრომა დროულად ჩამცხრალიყო.

– „ამას გარკვეული პროცედურები სჭირდება, როცა ჩვენებას შეიტანენ, თანხის კორექტირებაც მაშინ მოხდება და თუ დარიცხული თანხა მეტი აღმოჩნდება, აბონენტებს დეპოზიტზე დაუჯდებათ,“- აღნიშნა ჟანა დიდებაშვილმა.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უკმაყოფილება არა ცხრება, ისინი იმასაც აპროტესტებენ, რომ ამ მხრივ მათი ინფორმირებულობა გარკვევით არავის მოუხდენია და თვლიან, რომ როცა ასეთი რამ ხდება, ინფორმაციის მიწოდების დონეც ამ მხრივ მაღალი უნდა იყოს, რათა სათავეშივე გაერკვნენ საქმის არსში.

აბონენტების უმრავლესობა კი დარწმუნებულია, რომ გადახდილ თანხას დეპოზიტზე არავინ დაუსვამს და, მით უმეტეს, დენის გადასახადში არავინ გაუქვითავს. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტი გახლდათ კლასიკური მაგალითი და მცდელობა იმისა, თუ რიგითი კომპანია როგორ ცდილობდა ყველაფერი ხალხის კისრიდან ამოეღო.

მოსახლეობა იმედს იტოვებს, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, ამგვარ უსამართლობებს ჩვენს ქვეყანაში ადგილი აღარ ექნება და უფრო მეტიც, დადგება და გადაიხედება ამგვარი გაუგებრობების ავტორების თანამდებობებზე ყოფნის საკითხიც.

ლალი მეხრიშვილი

„არქიმედეს“ კლინიკის მშენებლობა არ შეფერხდება

სააქციო საზოგადოება „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ სამედიცინო დაწესებულებებს დეზინფორმაციის გავრცელების შეწყვეტისკენ მოუწოდებს. როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კომპანია არ გაკოტრებულა და ვალდებულებებს ჩვეულებისამებრ შეასრულებს. მათი მტკიცებით, ასევე არ შეფერხდება დედოფლისწყაროს რაიონში მიმდინარე „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ კლინიკის მშენებლობა.

როგორც თბილისში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კომპანიის პრეზიდენტმა ნიკოლოზ რამიშვილმა განაცხადა, ბოლო დღეებში ვრცელდება ჭორები, თითქოსდა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა გაუქმდა ან შეჩერდა, ან თითქოსდა „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ გაკოტრდა და ა.შ.

მისი თქმით, კომპანია ჩვეულ რეჟიმში მუშაობასა და სადაზღვევო პირობების შესაბამისად მოსახლეობის მომსახურებას განაგრძობს. დაზღვეულ მოქალაქეებს ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად შესაძლებლობა აქვთ, დარეკონ კომპანიის ცხელ ხაზზე (2 45 11 11), რომელიც ასევე უწყვეტად აგრძელებს ფუნქციონირებას.

ნიკოლოზ რამიშვილის განმარტებით, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამას შეწყვეტის საფრთხე არ ემუქრება.

„არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თბილისში მცხოვრები 5 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების, სტუდენტების, ასაკით პენსიონერების, 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჯანმრთელობას აზღვევს. 1 სექტემბრიდან დღემდე კომპანია უკვე მოემსახურა 3 231 ადამიანს. სადაზღვევო მომსახურების ანაზღაურებამ 4 მილიონ 980 436 ლარი შეადგინა. აღნიშნული პროექტი შეუფერხებლად მუშაობს“, - აღნიშნა ნიკოლოზ რამიშვილმა.

მისი თქმით, კომპანიამ ასევე შეასრულა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. „არქიმედეს“ კლინიკები წნორში, ლაგოდეხსა და სენაკში აშენდა. ამჟამად კი რიგით მეოთხე საავადმყოფოს მშენებლობა დედოფლისწყაროს რაიონში მიმდინარეობს.

ნიკოლოზ რამიშვილი ასევე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა აღნიშნული კომპანიის დაზღვეულებისათვის მომსახურება მისმა პარტნიორმა აფთიაქებმა: „პე-ეს-პემ“, „სახალხო აფთიაქმა და „ფარმადეპომ“ შეაჩერეს.

მისი თქმით, ხსენებული ფარმაცევტული კომპანიები დაზღვეულებს მომსახურებას ჩვეულ რეჟიმში უწევენ.

„ცოტა ხანში დავასახელებს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ასეთ ჭორებს გვივრცელებენ. ამ ეტაპზე ზეპირსიტყვიერი ცილისწამებისაგან თავს შეიკავებ. როგორც კი დასაბუთებული ფაქტები გვექნება, შესაბამის დაწესებულებებს დავასახელებთ“, – აღნიშნა ნიკოლოზ რამიშვილმა და დასძინა, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ფინანსური პრობლემები არ აქვს.

„არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ მოუწოდებს სამედიცინო დაწესებულებებს, რომ გააგრძელონ საქართველოს მოქალაქეებისათვის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების გაწევა.

ილია მარტყოფლიშვილი

საინტერესო პროექტები დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისთვის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები შიდსთან ბრძოლის მასშტაბური მარათონისთვის ემზადებიან. მარათონი უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, **„ჯანმრთელობის ტრენინგები და შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღსანიშნავი ყოველწლიური მარათონი დედოფლისწყაროში”** არის „მშვიდობის კორპუსის“ ამერიკელი მოხალისის ჯონათან ბრენდსისა და დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის კახა კოტაშვილის ერთობლივი პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის პრეზიდენტის ბარაქ ობამას შიდსის მსხვერპლთა დახმარების საგანგებო გეგმის „VAST Grant“-ის მიერ.



პროექტი დედოფლისწყაროელ მოსწავლეებს სთავაზობს ტრენინგების ციკლს სამ სხვადასხვა თემაზე, რომელიც ქართველი და ამერიკელი ტრენერების მიერ ჩატარდება. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გახდნენ ტრენერი და გაიარონ სპეციალური „ტრენინგი ტრენერებისთვის“ (TOT); პროექტის დაფინანსებით ჩაატარონ ტრენინგები თავის სკოლაში და გაუზიარონ ცოდნა თანატოლებს; მონაწილეობა მიიღონ ჩვენს ქალაქში პირველად აივ-ინფექციის მსოფლიო დღის ორგანიზებასა და აღნიშვნაში, რომელიც საკმაოდ მასშტაბურად გაიმართება; ეძლევათ შესაძლებლობა, გახდნენ შემდეგი პროექტების სამუშაო ჯგუფის წევრი და მიიღონ მონაწილეობა მათ განხორციელებაში.

როგორც დედოფლისწყაროს პირველ სკოლაში აცხადებენ, პროექტში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 12 სკოლიდან ორ-ორი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. დაინტერესებული მოსწავლეთათვის აპლიკაციის შევსება მიმდინარე წლის 19 ოქტომბრამდეა შესაძლებელი.

ირაკლი კოკილაშვილი

საქართველო ერთადერთია, სადაც ყველა ერი კარგად გრძნობს თავს

სექტემბრის ბოლოს, არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე, მთავრობამ ინტელიგენციის კიდევ ერთი ნაკადი დააჯილდოვა ღირსების მედლებითა და ორდენებით. მათ შორის დედოფლისწყაროს განათლების და სამედიცინო დარგების წარმომადგენლები. პედაგოგთა შორის იყო ჭოეთის სკოლის დაწყებითი სწავლების მასწავლებელი ჟანა ბაბაიანი. ვინც ერთხელ მაინც დასწრებია მას გაკვეთილზე, ან მის მიერ მომზადებული ღონისძიება უნახავს, ვერასოდეს დაივიწყებს მის ჰარმონიულ დამოკიდებულებას აღსაზრდელებისადმი, ან ღონისძიების სიღმეს და დიაპაზონს.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, ჟანა ამ სკოლასთან ორგანულადაა დაკავშირებული - ჯერ როგორც მოსწავლე, მერე როგორც მასწავლებელი. ის ქ.დედოფლისწყაროში დაიბადა 1959 წლის 4 ოქტომბერს მეთუნუქე სტოპა ბაბაიანის და დიასახლის ხასვარდი ბაღდასარიანის ოჯახში. უფროსი ქალიშვილი გახლდათ. მერე მისი და და ძმა შეემატა ოჯახს და მშობლების მეურვეობით სიამტკბილობასა და მზრუნველობაში იზრდებოდნენ.

- სკოლა რომ დავამთავრე, სამედიცინო ინსტიტუტში ვაბარებდი. ძალიან რთული იყო მაშინ იქ მოხვედრა. ქულა დამაკლდა და მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩავირიცხე, მაგრამ ჩემი და არტურ გავალოვის სიყვარულზე დიდი რომანი დაიწერებოდა და მეც სიყვარულმა გადამძალა, გავთხოვდი - ჯერ 18 წლისაც არ ვიყავი, ოჯახმა საკუთარი ქალიშვილივით მიმიღო, - გვიყვება ჟანა.

- ჰო, შენი და შენი დედა-მთილ-მამამთილის ურთიერთობა სამაგალითო იყო მთელს რაიონში. როგორ ახერხებდით ამას მაშინაც კი, როცა არტურს პირადი პრობლემები შეექმნა, სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნდა?

- უჭკვიანესი, წინდახედული კაცი იყო ჩემი მამამთილი გარო გავალოვი. ექიმობაც მან გადამაფიქრებინა. მითხრა, ქალი პირველ რიგში დედაა, სკოლაში შენ და შენი შვილები ერთად წახვედით და მოხვალთ, შენს მეთვალყურეობაში დაიზრდებიან. ექიმობა მძიმე პროფესიაა, ცოდო ხარო. დავუჯერე, თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე ჩავაბარე. დღეს მადლიერი ვარ, მისი რჩევა რომ გავითვალიწინე. ჩემი მოწოდება ნამდვილად პედაგოგობა ყოფილა. ჩემს პედაგოგად ჩამოყალიბებაში, სკოლის პედკოლექტივთან ერთად, დიდი წვლილი ჩემს დედამთილს მერი მურადოვსაც მიუძღვის. ის საბავშვო ბაღის აღმზრდელი იყო და სულ მუდამ მეხმარებოდა, თითქმის ერთად ვამზადებდით გაკვეთილებს. უაღრესად განათლებული და საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული ქალი იყო, კარგი მოსაუბრე, კარგი დიასახლისი და მეოჯახე.

ცხოვრებისა არაფერი გამეგებოდა, მათ ოჯახში რომ შევედი. ისე ჩამოვყალიბდი მათთან როგორც სპეციალისტი, როგორც დიასახლისი და როგორც მოქალაქე, რომ ვერც კი გავიგე. ხმამაღლა და უკმეხად ნათქვამი მათგან არაფერი მახსოვს. ისე დაზარდეს ჩემი შვილები ირმა და მერიკო, არაფერზე შეუხრიათ წარბი. მათი ამქვეყნიდან წასვლა დიდი ტკივილი იყო ჩვენი ოჯახისთვის. დღესაც ძალიან გვაკლიან და ხშირად ვიხსენებთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაიხარებდნენ და იამაყებდნენ, ჩემს მაღალ ჯილდოს რომ მოსწრებოდნენ.

- როდის დაიწყო შენი პედაგოგიური მოღვაწეობა?

- 35 წლის წინ, 1977 წელს, როცა პირველი ქალიშვილი ირმა სულ რაღაც ორი-სამი თვის იყო, ოჯახმა ისე შემიწყო ხელი, რომ ჩემს მშობლიურ რუსულ სკოლაში ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტად დავიწყე მუშაობა. მერე გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი ვიყავი, რამაც დიდი გამოცდილება შემძინა. ძალიან ვღელავდი, პირველად პირველი კლასი რომ ჩავიბარე. მას მერე რამდენი წელი გავიდა, რამდენმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში?!

- ვინ იყო თქვენი კოლეგა, რომელმაც დიდი კვალი დატოვა თქვენზე?

- გალინა ბოიკო, ჯულიეტა ტარასოვა, ნელი ბეგიაშვილი, სესილი ზედგენიძე, სამი და ხაროშიხები და მათი გვირგვინი ხარლამპი კანიდი იყო ის გუნდი, ვინც თავის ყოფილ მოსწავლეს სულ მხარში მედგნენ, საკუთარ მაგალითზე მზრდიდნენ და მაყალიბებდნენ პედაგოგად.

- მოსწავლეებიდან ვის გამოარჩევდით?

- ბევრი კარგი და სანაქებო მოსწავლე მყავდა, გიორგი თეთრაული, ლიკა გიგოლაშვილი, სერგო ზოროღლიანი, სხვაც ბევრი, არ მინდა, რომელიმე მათგანს გული დავწყვიტო.

- თქვენს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე მომიყევით.

- რაიონული მასშტაბის იყო ღონისძიებები ნიკო ფიროსმანზე და ვაჟა-ფშაველაზე. მერე ბავშვები მირზაანსა და ჩარგალშიც წავიყვანე, ვაჩვენე კერა, რომელზეც ეს ბუმბერაზი ქართველები გაიზარდნენ. საერთოდ ვცდილობ, პატრიოტებად გავზარდო ჩემი მოსწავლეები, შევაყვარო საქართველოს ყველა კუთხე, ბუნება, ფლორა და ფაუნა, ჩავატარო ისეთი ღონისძიებები, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ახსოვდეთ. გამოშვება მყავდა ოთხი წლის წინ. დამთავრდა თუ არა სწავლა, ბავშვებიც და მშობლებიც შავ ზღვაზე წავედით ერთი კვირით დასასვენებლად. ქვეყნის უკიდურესი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მათ უამრავი რამ ვაჩვენეთ და ავუხსენით. ბავშვების სულში რომანტიზმის გასაღვიძებლად ათას ხერხს მივმართავ. ერთხელ ბავშვებს ვკითხე: – დილით ადრე ჩიტების ჭიკჭიკი მოგისმენიათ - მეთქი, არაო... მერე ჩიტები ნახატების მიხედვით გავაცანი, მერე თითოეული მათგანის გალობა მოვასმენინე ჩანაწერებში და, როცა თითოეულ მათგანს გალობით სცნობდნენ, ვუთხარი: ხვალ, დილით, 6 საათზე შევიკრიბოთ და მშობლების გარეშე, მარტო ჩვენ წავიდეთ იქ, სადაც ამ ყველაფერს ბუნებაში მოვისმენთ-მეთქი. მეორე დღეს უკლებლად მოვიდნენ. მზე რომ ამოიწვერა, უკვე ელიის მთაზე ვიყავით, ზღაპრული სანახაობა იყო, ვერცხლისფრად ლაპლაპებდა დაბლა ტბა, გადაბიბინებული მინდვრები, ახლადგამოშლილი საქონლის ბღავილი, ელიის წიწვნარში ფრინველთა ისეთი მრავალფეროვნება იყო, არც კი მეგონა. წარმოიდგინეთ, არწივიც კი მოფრინდა. ბავშვებს წამოსვლა აღარ უნდოდათ. უზომოდ მიყვარს ჩემი პატარები და მათთვის ყველაფერი შემიძლია გავაკეთო.

- ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები როგორ მოგწონს?

- გულწრფელად რომ გითხრათ, მთლად სრულყოფილი ვერ არის, ძალიან მარტივია, უფრო მეტი სააზროვნო უნდა იყოს, ვიდრე კითხვის ალბათობაზე დამყარებული პასუხი. ვფიქრობ, ქართული ენა იმდენად მდიდარი, ხატოვანი და ამოუწურავია, რომ მასში სხვა ენებიდან „კალკების“ შემოტანა საჭირო არ არის. ადრე რუსული ტერმინოლოგია შემოდიოდა, ახლა - ინგლისური. ვფიქრობ, ყველა შესატყვისი მშობლიურ ენაზე უნდა იყოს. ის ენები კი ცალკე, დამოუკიდებლად ხომ ისწავლება?! ამ 800-წლიანი ჭადრის, ქართული ძეგლების, ენის, სარწმუნოების და სხვა მრავალი სიკეთის პატრონ ერს სხვა ენების „დახმარება“ არ სჭირდება, თორემ დავკარგეთ და ეგ არის ეს "ღმერთების ენა". იმედია, მომავალში დომინანტი ქართული ენა გახდება.

- ქალბატონო ჟანა, დიდი ხანია, რაც შენი მშობლები, დაძმა, შვილი თავისი ოჯახებით რუსეთში ცხოვრობენ. როგორ გრძნობენ თავს იმ ქვეყანაში, რომელიც არცთუ მთლად კეთილგანწყობილია ჩვენს მიმართ და ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული?

- ჩემი ახლობლები საქართველოდან იმ რთულ დროს წავიდნენ, როცა სიბნელეში, შიშსა და უსამართლობაში ვცხოვრობდით. ისინი ყველანი ვორონეჟში ცხოვრობენ. ჩემი და პროფესიით კვების ტექნოლოგია, ძმა კი საგზაო მშენებლობის ინჟინერი. წლების განმავლობაში მათ თავიანთი ბიზნესი წამოიწყეს და განავითარეს. საკმაოდ კარგი წარმატებებიც აქვთ, უკმაყოფილონი არ არიან. არც არავინ ავიწროვებთ. დედა გასულ წელს გარდამეცვალა. მამა პენსიონერია და ძალიან კარგი პენსია აქვს. ასაკით დადგენილ საპენსიო განაკვეთს ემატება სტაჟის და მეორე მსოფლიო ომში შიმშილგადატანილი ბავშვობის დანამატი და თითქმის 600-650 დოლარის ექვივალენტია მისი პენსია. ნაკვეთი შეუძინა ჩემმა ძმამ, სადაც საქართველოდან და ერევნიდან წაღებული უამრავი ჯიშის ხეხილი ახარა, ბაღჩეულ-ბოსტნეული იმდენი მოჰყავს, მათ ოჯახებს სრულად ჰყოფნია. ასე, რომ, ეკონომიურად თავს კარგად გრძნობენ, მაგრამ მაინც აქვთ საქართველოს, თავიანთი წითელწყაროს ნოსტალგია. ხშირად ჩამოდიან, გაზაფხულდება თუ არა, სულ თითებზე ითვლიან დღეებს. თავიანთ სიყვარულს და პატივისცემას საქართველოსა და ქართველი ერისადმი კი იმაში იკლავენ, რომ არ კარგავენ ქართულ ტრადიციებს, ქართული სუფრის ლაზათს და მენიუს, რომ შვილებს და შვილიშვილებს ქართულს ასწავლიან, დაჰყავთ ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვის ანსამბლებში. მოგეხსენებათ, ვორონეჟში სომხებიც ბევრი ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენები ქართულ დიასპორაში არიან გაერთიანებულები. მათ ქართველებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ეკლესიის მშენებლობაში და აქტიურადაც დადიან სალოცავად. იმაზე კი, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, გული ძალიან სტკივათ.

- თქვენს დაჯილდოვებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე ჩვენი რაიონის კიდევ ერთი - მეღვინეების, სპორტის და კულტურის მუშაკების დიდი ჯგუფი დააჯილდოვეს ანალოგიური ჯილდოებით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს მთავრობის მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერი, ხალხის გულის მოსაგები სვლა იყო?

- ვერ გეტყვით, ვინ რა ჩაიფიქრა, მაგრამ თუ პიარი იყო, ალბათ უფრო ეფექტურ, საზეიმო ვითარებაში ხმაურიანად ჩატარდებოდა ეს ცერემონიალი. ჩვენს მეტს არავის გაუგია ეს ამბავი, ისე ვიწრო წრეში დაგვაჯილდოვეს. თქვენს გაზეთს რომ არ დაეწერა, ვერც ვერავინ გაიგებდა. მე პირადად, თქვენი გაზეთის დიდი მადლობელი ვარ ყურადღებისათვის. საერთოდ კი, არ არსებობს ადამიანი, ვისზეც დადებითად არ აისახებოდეს ნებისმიერი ჯილდო. მე მეამაყება, რომ სომეხი ვარ და საქართველოში ღირსეულად დამაფასეს, ეს ჩემთვის დიდი სტიმულია.

- თქვენ ხაზი გაუსვით, რომ სომეხი ხართ და საქართველოში დაფასებული ბრძანდებით. რა შეფასებას მისცემთ ამასწინათ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის მიერ სომხებთან დაკავშირებით გამოთქმულ აზრს?

- მართალია, ხალხში ამ ამბავმა ორაზროვანი გაგება გამოიწვია, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ აქ არავითარი ქსენოფობიური შინაარსი არ იყო. მას ჰკითხეს, დიდხანს არ ცხოვრობდით საქართველოში და კარგადაც ცხოვრობდით, რა გრჯიდათ, რატომ დაბრუნდითო. მან კი უპასუხა: ეს ქართველების ბედისწერაა, სხვა მიწაზე ვერ ვძლებთ, მუდამ ჩვენი მიწა-წყალი გვეძახისო, ქართული დიასპორა არსად არ ცხოვრობს ხანგრძლივადო და დანატრა სომხებს და ებრაელებს, რომელთა საკმაოდ ძლიერი დიასპორები მრავალ ქვეყანაში არსებობენ. ამით მას სომეხი ხალხისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, არც ის უგულისხმია, სომხები აქედან წავიდნენო. მიკვირსო, თქვა, საქართველოში სომხები ასე ახლოს არიან სასომხეთთან და იქ არ მიდიანო. ამის პასუხად მე ვამბობ, რომ ჩემი სამშობლო საქართველოა, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ჩემს სამეგობრო წრეში დიდი უმრავლესობა ქართველია, მე ისინი მიყვარს, მეც ისევე მიყვარს ეს მიწა-წყალი, როგორც ქართველებს და არსად არ შემიძლია ვიცხოვრო. საქართველო ერთ-ერთი ტოლერანტული ქვეყანაა, სადაც ყველა ერი თავს ისევე გრძნობს, როგორც ქართველები.

- როგორ უყურებთ მომავალს?

- იმედიანად.

- ღმერთმა გისმინოთ. ჩვენ კი ჩვენს მხრივ „ღირსების ორდენის" კავალრობას და დაბადების დღეს ერთად გილოცავთ. წარმატებული იყოს თქვენი ცხოვრება და საქმიანობა.

- დიდი მადლობა.

ნაირა გორაშვილი

სპორტი

დარბაზის გარეშე დარჩენილი სპორტსმენები ჩემპიონატისთვის მზადებას ვერ ახერხებენ

დედოფლისწყაროში მოქმედი საქართველოს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაციის კლუბ „არმიას“ მწვრთნელის გიორგი ცისკარაულის განცხადებით, მისი გუნდი სავარჯიშო დარბაზის გარეშე დარჩა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, 3 ნოემბერს დედოფლისწყაროელი სპორტსმენების გამოსვლა საქართველოს ჩემპიონატზე იგეგმება, თუმცა თითქმის ერთი თვეა კლუბი შესაბამის მომზადებას ვერ ახერხებს.

გიორგი ცისკარაულის განმარტებით, ამ დრომდე კლუბი „არმია“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ემზადებოდა, თუმცა, სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა კლუბს დარბაზის დაცლა მოსთხოვა.

ცისკარაული ამბობს, რომ დარბაზის არარსებობის გამო დედოფლისწყაროში 20—25 პერსპექტიული სპორტსმენი, შესაძლოა, დაიკარგოს:

„დარბაზს ვითხოვთ, სადმე ერთი ოთახი გვინდა, რომ დრო არ დავკარგოთ, შევიდეთ და ვარჯიში დავიწყოთ. დახმარებას ყველასგან მივიღებთ, ვინც ჩვენი ბედით რეალურად დაინტერესდება. ეს იქნება „ქართული ოცნება“, თუ „ნაციონალური მოძრაობა“... მთავარია, პერსპექტიულ ახალგაზრდებს წინსვლის საშუალება მიეცეთ და ჩავარდნა არ ჰქონდეთ. დარბაზის არ ქონის გამო უკვე 2-3 კვირაა სპორტსმენებს ვერ ვავარჯიშებთ, ესაა ჩვენი გულისტკივილი და გასაჭირი. მანამდე სკოლის შენობაში ვიყავით და ამჯერად იქიდან გამოსვლა მოგვთხოვეს. არადა, ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატი ტარდება და იქ ვაპირებთ გამოსვლას. მოუმზადებლად კი იმ შედეგის ჩვენებას ვერ შევძლებთ, რისი შესაძლებლობებიც ამ სპორტსმენებს აქვთ.

ასე ვართ, დედოფლისწყაროში ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულების მოლოდინში. თუმცა, არავისგან ვიცით ზუსტი პასუხი, შეგვიშვებენ თუ არა კინოთეატრის შენობაში მოწყობილ თანამედროვე სტანდარტების სპორტულ დარბაზში... არადა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა კლუბმა საქართველოს არაერთი საერთაშორისო და სხვა ტურნირის უამრავი გამარჯვებული აჩუქა,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ გიორგი ცისკარაულმა.

კლუბ „არმია“-ს სამი სპორტსმენი ნიკა ჩიტიშვილი, ლევან წიკლაური და ლევან თეთრაული 2012 წლის საუკეთესო 15 სპორტსმენთა შორის მოხვდა.

ბავშვები და ტრენერი ახალი დარბაზის მშენებლობის მოლოდინში არიან, მანამდე კი შესაბამისი უწყებებისგან დახმარებას ელიან.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კიკბოქსინგელთა კლუბი „არმია“ დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციას ახლახან გამოეყო.

ილია მარტყოფლიშვილი

ძიუდო

ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს სარეიტინგო პირველობა ჭიდაობა ძიუდოში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: 38კგ -ში ნიკა კობაიძე, 42კგ-ში ლაშა ბექაური. მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 34კგ-ში გიორგი თინაშვილი, 46კგ-ში ნიკა ზვიადაური , 60კგ-ში ნიკა ბურდული. ხუთივე სპორტსმენი გახდა საქართველოს ჭაბუკთა ეროვნული ნაკრების წევრი. სასწავლო- საწვრთნელ შეკრებას გადიან ქალაქ დუშეთის სპორტულ ბაზაზე. რეიტინგით ირველები არიან:ნიკა კობაიძე და ლაშა ბექაური.

(მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონი კახა წიკლაური)

ულოცავენ!

არსენ ყოჩიაშვილს!

ჩემო ძვირფასო ნათლულო, გულითადად გილოცავ ოქროს დაბადების დღეს-19 ოქტომბერს, იყავი წარმატებული, ბედნიერი, სიყვარულით და სიკეთით გარემოსილი!

მიზანმიმართულად და უშიშრად გევლოს ახალი ცხოვრების გზაზე,ყოველთვის მიგეღწიოს დასახული მიზნისთვის და ცხოვრებისაგან მიგეღოს ის მთავარი ღირებულებები, რაც ბედნიერებას და სიხარულს მოგანიჭებს.

მუდამ მეამაყოს შენით.

დიდი სიყვარულით
ბიძინა პოპიაშვილი

ჭანა ბაბაიან – გავალოვს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს - „ღირსების ორდენს“. პროფესიისადმი სიყვარულითა და თავდადებული შრომით შენ ეს ღირსეულად დაიმსახურე. თითქოს დაბადების დღის საჩუქარი გაგიკეთეს - 4 ოქტომბერს ხომ შენი დაბადების დღე იყო! დიდხანს იცოცხლე, იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი, კვლავაც წარმატებებს გისურვებთ, სულ ასეთი მხნე, ენერგიული და ლამაზი ყოფილიყავ ჩვენს საიმედოდ და სასიხარულოდ. გვიყვარხარ, გკოცნით და გეფერებით.

შენი შვილები: ირმა და მერიკო გავალოვეები,
სიძეები: გენადი პოპოვი და ვასილ საბიაშვილი,
შვილიშვილები: ნიკა და თეონა პოპოვები,
ირაკლი და ქეთევან საბიაშვილები.

ნათელა ბოსტაშვილს!

გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას და გახარებას შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. მუდამ ბედნიერება მოგველოცოს შენთვის!

შენი „შირაქელები“

სასოფლო-სამეურნეო მიწების მფლობელთა საყურადღებოდ!

2012 წლის 7 ოქტომბრიდან შესაძლებელი გახდა სასოფლო - სამეურნეო მიწებზე 2012 წლის დეკლარაციების წარდგენა. ჩაბარების ბოლო ვადაა 2012წლის 1 ნოემბერი. დეკლარაციების წარდგენა ხდება ელექტრონულად. წარუდგენლობის შემთხვევაში განხორციელდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციების დარიცხვა.

საგადასახადო და საბუღალტრო მომსახურების ფირმა შპს „ლაშარი+“ მოსახლეობას გთავაზობთ მომსახურებას მიწის დეკლარაციების შედგენასა ჩაბარებაში. მსურველებს შეგიძლიათ მობრძანდეთ ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 0790 97 98 99

მადლიერება

თბილისიდან სიღნაღში ვიმყოფებოდით სტუმრად.შემდეგ დედოფლისწყაროელი ახლობლების მონახულებაც გადავწყვიტეთ. სიღნაღიდან დედოფლისწყარომდე ტრანსპორტის პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ დგას. დიდხანს ველოდით ტრანსპორტს. ამ დროს გამოიარა სამარშრუტო ტაქსმა, რომელიც წნორი — დედოფლისწყაროს მიმართულებით მოძრაობდა. მისმა მძღოლმა ვლადიმერ ტუხაშვილმა ტაქსიც გაგვიჩერა და დანიშნულების ადგილამდეც მიგვიყვანა. გვინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადოთ მას. დაე, ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მისნაირი კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანები.

კალანდაძე, ქალაქი თბილისი

აუქციონი

სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა აცხადებს პირობით აუქციონს (პირობებით) ბუფეტის ფუნქციონირებისთვის

სკოლის შრნობის ფართის იჯარით გაცემაზე და კონკურსში მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. კონკურსის ორგანიზატორი - ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა.

კონკურსის მიზანი - ბუფეტის ფუნქციონირება.

საშუალება - სკოლის ბალანსზე რიცხული სკოლის შენობაში არსებული 20 კვმ. ფართის იჯარით გაცემა.

საიჯარო ფართის წლიური ღირებულება – 225 ლარი.

„ბე“ - წლიური ქირის 10%.

„ბიჯი“ – წლიური ქირის 5%.

იჯარის ვადა – 2 წელი (შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

აუცილებელია სააუქციონო პირობები:

– სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

– სკოლის კონტინგენტისთვის შესაფერისი მენიუს მომზადება ხელმისაწვდომ ფასებში.

– ხარისხიანი პროდუქტების შემოტანა და მომზადება.

– დაცული უნდა იყოს საკვებად ვარგისიანობის ვადები.

– იჯარით აღებული ქონების გაფრთხილება.

– საიჯარო გადასახადის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

– განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

– „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს, ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

– განცხადებები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

– აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადებების მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე:
ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა.
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სკოლის დირექციას.

ყიდება

მაღაზიის შენობა 100 მ.კვ. სავაჭრო დარბაზით, 200 მ.კვ სამარაგო ოთახებით, ეზოს ფართით. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე:
599 26 80 28

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 13. 09		კვირა 14. 09		ორშაბათი 15. 10		სამშაბათი 16. 10		ოთხშაბათი 17. 10		ხუთშაბათი 18. 10		პარასკევი 19. 10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
18 °	12 °	12 °	11 °	14 °	13 °	15 °	14 °	16 °	12 °	14 °	13 °	15 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K